ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N33

ქ. ბოლნისი

2020 წლის 25 ნოემბერი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერისთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამიდან **(UNDP)** გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიეცეს თანხმობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერს, პროგრამის „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიის თემის ეკონომიკური გაძლიერება და ბიზნესის აქტივობების" განხორციელების მიზნით (პროექტის ღირებულება 95 200 ლარი) **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამიდან (UNDP)** ბოლნისის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი პროექტის მთლიანი ღირებულების 59 200 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის მთლიანი ღირებულების 36 000 ლარი და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

3.აღნიშნული განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად ბოლნისის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა № 113.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამაზ ჟორჟოლიანი**